ახალგაზრდები ცვლილებათა სამყაროში

ძვირფასო მკითხველო,

ბროშურა, რომელსაც ახლა კითხულობ, იმ მრავალგვარ საფრთხეს ასახავს, რაც ადამიანების, განსაკუთრებით კი ბავშვთა ტრეფიკინგს უკავშირდება.

ტრეფიკინგი ადამიანებით ვაჭრობას ნიშნავს და მსოფლიოში გავრცელებული უმძიმესი დანაშაულია, რომელმაც საქართველოშიც იჩინა თავი. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ეს დანაშაული 7- დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება. სამწუხაროდ, მსოფლიოში ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვთა რიცხვი მილიონს აღწევს.

გთავაზობთ იმ აუცილებელ განმარტებებსა და რჩევებს, რაც ტრეფიკინგის საფრთხის თავიდან აცილებაში დაგეხმარება.



ტრეფიკინგი

ტრეფიკინგი არის ადამიანებით ვაჭრობა, რომლის დროსაც გამოყენების მიზნით ბავშვის ყიდვა-გაყიდვა, გადაბირება, გადაყვანა, გადაცემა, გადამალვა ან მიღება ხდება. ეს შეიძლება მოხდეს მუქარით, მოტაცებით, მოტყუებით, შანტაჟით, მოსყიდვით.
მთელ მსოფლიოში, გავრცელებისა და საშიშროების მიხედვით, ბავშვთა ტრეფიკინგი ნარკოტიკებითა და იარაღით ვაჭრობის გვერდით დგას. მას ბავშვებით მოვაჭრეებისათვის უდიდესი შემოსავალი მოაქვს.

გახსოვდეს: დღეს მსოფლიოში არ არსებობს ქვეყანა, სადაც ტრეფიკინგი შეუძლებელი იქნებოდა! ტრეფიკინგი შეიძლება განხორციელდეს როგორც ბავშვის საზღვარგარეთ გაყვანით, ასევე მოხდეს ქვეყნის შიგნით.

დაიცავით თავი, აიცილეთ საფრთხე!

ბავშვთა პროსტიტუცია

ბავშვთა პროსტიტუცია ნიშნავს ბავშვის გამოყენებას სექსუალურ ქმედებებში თანხის ან სხვა ანაზღაურების ფასად;

გახსოვდეს: ტრეფიკინგის მსხვერპლთა უდიდესი ნაწილი პროსტიტუციის უკანონო ბიზნესის მონაწილე ხდება.

დაიცავით თავი, აიცილეთ საფრთხე!

აიცილე საფრთხე!

თუ თქვენ საზღვარგარეთ სწავლას ან გაცვლით პროგრამებში მონაწილეობას გთავაზობენ:

- გადაამოწმე საქართველოში და უცხოეთში ამ პროგრამებზე პასუხისმგებელი ადამიანები და ტურისტული სააგენტოები;
- არ წახვიდე მათთან შეხვედრაზე მშობლის ან შენზე მზრუნველი უფროსის გარეშე;
- ყურადღებით გაეცანი შემოთავაზებულ პროგრამას;
- მოითხოვე და დაწვრილებით წაიკითხე კონტრაქტი.

ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია

ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაცია ნიშნავს ბავშვის გამოყენებას იძულებით სექსუალურ ურთიერთობებში ჩაბმის მიზნით, რისთვისაც ბავშვს ან სხვა პირებს გასამრჯელოს უხდიან.

სექსუალური ექსპლუატაციის დროს ხდება ბავშვის დამცირება, გარყვნა, მის ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს საფრთხე ექმნება.

გახსოვდეთ: ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი, შესაძლოა, ნებისმიერი ასაკის მოზარდი გახდეს.

დაიცავით თავი, აიცილეთ საფრთხე!

აიცილე საფრთხე!

მსახიობად ან მოდელად მუშაობის შემოთავაზების შემთხვევაში:

- დაუყოვნებლივ ამცნეთ მშობელს;
- არ წახვიდეთ გადაღებებსა და შეხვედრაზე, მშობლის თანხლების გარეშე;
- არ მისცეთ ფოტო-სურათები, ტელეფონის ნომერი, ან ელ-ფოსტის მისამართი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა პორნოგრაფია

ბავშვთა პორნოგრაფია ნიშნავს სექსუალურ ქმედებებში მონაწილე ბავშვის ჩვენებას, აგრეთვე სექსუალური განზრახვით ბავშვის სასქესო ორგანოების ჩვენებას. გამოიყენება ფოტოსურათები, ნახატები, ფილმები, ვიდეოჩანაწერები.

გახსოვდეს: ინტერნეტითა და მობილური კომუნიკაციის საშუალებებით სარგებლობისას შეიძლება სერიოზული საშიშროება შეგექმნას. შენ ხომ დანამდვილებით არ იცი, ვინ არის შენი ვირტუალური მეგობარი.

აიცილე საფრთხე!

დაიცავით თავი, აიცილეთ საფრთხე!

- არავის გაუგზავნო ფოტოსურათები, პირადი მონაცემები, მისამართი და ტელეფონის ნომერი მშობლის ან შენზე მზრუნველი უფროსის ნებართვის გარეშე!

- არასდროს შეხვდე იმ ადამიანებს, რომლებიც ინტერნეტით დაგიმეგობრდნენ, ან შეხვედრაზე უფროსთან ერთად წადი.

ბავშვთა შრომითი ექსპლუატაცია და მონური შრომა

ბავშვთა შრომითი ექსპლუატაცია ნიშნავს ბავშვის გამოყენებას იძულებით შრომაში, დანაშაულებრივ ქმედებებში ან პროსტიტუციაში ჩაბმის მიზნით.

ბავშვს აიძულებენ იშრომოს (მაღაროებში, მშენებლობებზე, ბაზრობებზე, ქარხნებში, პლანტაციებში და სხვა), იმუშაოს მომვლელად, დამლაგებლად, იმათხოვროს, ჩაებას შეიარაღებულ ფორმირებებში, ნარკოტიკების წარმოება-გასაღებაში, პროსტიტუციაში და სხვა.

გახსოვდეს: უკეთესი ცხოვრების ძიებაში, ხშირად ადამიანები ბოროტმოქმედთა ხელში ვარდებიან.

დაიცავით თავი, აიცილეთ საფრთხე!

აიცილე საფრთხე!

თუკი ვინმე საზღვარგარეთ გაყვანას გპირდებათ:

- დაუყოვნებლივ გაუზიარეთ მშობელს ან ალმზრდელს!
- არ ენდოთ დაპირებებს იმის შესახებ, რომ საზღვარგარეთ სამსახურის პოვნა ძალზე იოლია!
- არავის გადასცეთ თქვენი პირადობის დამადასტურებელი საბუთი თქვენზე მზრუნველი უფროსის თანხმობის გარეშე!
- არ მოაწეროთ ხელი არანაირ დოკუმენტს მშობლის ნებართვის გარეშე!

ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა

ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა არის ადამიანის გამოყენება, მისი ორგანოების ან ქსოვილების სხვა ადამიანისათვის გადანერგვის მიზნით, რის მსხვერპლიც ბავშვი ხდება იძულების ან მოტყუების გზით.

გახსოვდეს: ყოველწლიურად მსოფლიოში ათასობით ბავშვი უგზო-უკვლოდ იკარგება.

აიცილე საფრთხე!

დაიცავით თავი, აიცილეთ საფრთხე!

- არ გაუბა საუბარი უცნობ ადამიანებს;
- არ ჩაუჯდე მანქანაში უცნობებს;
- სახლიდან გასვლის წინ შეატყობინე უფროსს, სად მიდიხარ.

ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა

ტრეფიკინგში მონაწილეობენ:

- გადამბირებელი მსხვერპლს ირჩევს, სამუშაოს სთავაზობს, არწმუნებს და გადაიბირებს; ის შეიძლება იყოს შენი ახლობელი, ნათესავი ან კარგი ნაცნობი.
- გამცილებელი პასუხისმგებელია ტრასპორტირებაზე — მსხვერპლი ჩაჰყავს დანიშნულების ადგილზე;
- მომხმარებელი ანუ ექსპლუატატორი — დანიშნულების ადგილზე აწარმოებს ბიზნესს ტრეფიკინგის მსხვერპლთა საშუალებით;

ბროშურა მომზადებულია კანადის საელჩოს დაფინანსებით
Brochure is prepared with financial support of Canadian Embassy

Canada

პროექტი "ახალგაზრდები ცვლილებათა სამყაროში"
Project "Young People in Changing Society"

საქართველოს საზოგადოებრივი ჯანდაცვის და მედიცინის
განვითარების ფონდის ბავშვთა დახმარების ცენტრი

CHILD SUPPORT CENTER
of Public Health and Medicine Development Fund of Georgia

დონორი ორგანიზაციები:
Donor Organizations:

Cordaid

MISEREOR
IHR HILFSWERK

34, Kazbegi Ave., Plot #19, Apt. 1, Tbilisi 0177, Georgia

მისამართი: საქართველო, თბილისი, ალ. ყაზბეგის 34, ნაკვეთი 19, ბინა 1. 0177, თბილისი, საქართველო

ტელეფონი / **Tel:** (995 32) 421 422;
ფაქსი / **Fax:** (995 32) 421 423;

E-mail: info@phmdf.ge
web site: www.phmdf.ge

თბილისი 2008 **TBILISI**